ინფორმაცია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

2023 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს N55 დადგენილებით. 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 2 ცვლილება და საბოლოოდ დაზუსტდა 125728,7 ათასი ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 23 წლის ბიუჯეტის 3 თვის ფაქტობრივმა შემოსავალმა (ნაშთის/ფინანსური აქტივის გამოკლებით) 20032,8 ათასი ლარი შეადგინა,

ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წარმოდგენილია ბალანსის სახით:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის ბალანსი

დასახელება	2023 წელი		
	დაზუსტებული გეგმა	3 თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	93,713.1	19,366.6	19,353.7
გადასახადები	65,440.8	12,971.2	13,118.8
გრანტები	13,599.0	3,144.4	3,124.7
სხვა შემოსავლები	14,673.3	3,251.0	3,110.2
ხარჯები	89,222.4	22,200.0	22,127.4
შრომის ანაზღაურება	39,798.5	9,020.0	9,019.8
საქონელი და მომსახურება	21,104.0	5,580.0	5,560.4
პროცენტი	2,551.6	1,370.0	1,366.6
სუბსიდიები	8,420.5	2,030.0	2,024.8
გრანტები	185.0	50.0	50.0
სოციალური უზრუნველყოფა	6,967.0	1,400.0	1,369.2
სხვა ხარჯები	10,195.8	2,750.0	2,736.6
საოპერაციო სალდო	4,490.7	-2,833.4	-2,773.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	23,907.9	2,976.0	3,046.5
ზრდა	32,907.9	3,976.0	3,725.6
კლება	9,000.0	1,000.0	679.1
მთლიანი სალდო	-19,417.2	-5,809.4	-5,820.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-23,015.6	-7,559.4	-7,567.4
ზრდა	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი			

სხვა დებიტორული დავალიანებები			
კლება	23,015.6	7,559.4	7,567.4
აქციები და სხვა კაპიტალი	23015.6	7559.4	7567.4
ვალდებულებების ცვლილება	-3,598.4	-1,750.0	-1,747.2
ზრდა			
კლება	3,598.4	1,750.0	1,747.2
საშინაო	3,598.4	1,750.0	1,747.2
ბალანსი	0.0	0.0	0.0

ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 3 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 43560,9 ათას ლარს, მათ შორის: შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 19353,7 ათასი ლარი შეადგინა; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 679,1 ათასი ლარი; ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 23528,1 ათას ლარს.

სახეების მიხედვით **შემოსავლები** შემდეგნაირად განაწილდა:

დასახელება	2023 წლის 3 თვის გეგმა	ფაქტობრივი შემოსავლები 3 თვეში	%
გადასახადები	**12,971.2**	**13,118.8**	101.1
გრანტები	**3,144.4**	**3,124.7**	99,4
სხვა შემოსავლები	**3,251.0**	**3,110.2**	95,7
სულ	**19,366.6**	**19,353.7**	99,9

გადასახადები

ქალაქ ქუთაისის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადებიდან 3 თვეში შემოვიდა 13118,8 ათასი ლარი, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 12941,2 ათას ლარს.

გრანტები

2023 წლის 3 თვეში გრანტების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 3124,7 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი - 75,0 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 2569,4 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებიდან ჩაირიცხა 480,3 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ 3 თვეში 3110,2 ათასი ლარი შეადგინა

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2023 წელი		
		3 თვის გეგმა	3 თვის ფაქტი	%
1.4	**სხვა შემოსავლები**	**3,251.0**	**3,110.2**	**95.7**
1.4.1	შემოსავლები საკუთრებიდან	275.0	243.9	88.7
1.4.1.1	პროცენტები	200.0	151.4	75.7
1.4.1.5	რენტა	75.0	92.5	123.3
1.4.1.5.1	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	50.0	79.0	158.0
1.4.1.5.4	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	25.0	13.5	54.0
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,401.0	1,256.0	89.7
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,321.0	1,172.9	88.8
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0	1.2	120.0
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	270.0	254.1	94.1
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	900.0	804.4	89.4
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	150.0	113.2	75.5
1.4.2.3	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	80.0	83.1	103.9
1.4.3	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1,210.0	1,362.2	112.6
1.4.3.1	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1,150.0	1,315.2	114.4
1.4.3.4	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	50.0	41.8	83.6
1.4.3.9	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	10.0	5.2	52.0
1.4.4	ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	365.0	248.1	68.0

1.4.4.1.2.4	შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან	45.0	40.0	88.9
1.4.4.1.2.7	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	100.0	121.7	122%
1.4.4.1.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	220.0	86.4	39.3
1.4.4.1.2.99.4	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გა მო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	50.0	51.6	103.2
1.4.4.1.2.99.99	სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები	170.0	34.8	20.5

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში მობილიზებულია 79,0 ათასი ლარი, გეგმა (50,0 ათასი ლარი) შესრულდა 158%-ით.

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, ფაქტობრივად მიღებულია 13,5 ათასი ლარი, გეგმა (25,0 ათასი ლარი) შესრულდა 54%-ით.

სანებართვო მოსაკრებლებიდან 3 თვეში ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 113,2 ათასი ლარი, გეგმა (150,0 ათასი ლარი) შესრულდა 75,5%-ით.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა განისაზღვრა 900,0 ათასი ლარით, ფაქტობრივი შესრულება – 804,4 ათასი ლარი (89,4%).

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება ბიუჯეტში შემოსულია 83,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (80,0 ათასი ლარი) 103,9%-ია.

ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1362,2 ათასი ლარი, გეგმა (1210,0 ათასი ლარი) შესრულდა 112,6%-ით.

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შესრულებაა - 248,1 ათასი ლარი, გეგმა შეადგენს 365.0 ათას ლარს (68%).

არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის 3 თვის მანძილზე არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 679,1 ათასი ლარი, რომელის უმეტესობაც წარმოადგენს შემოსავალს ძირითადი აქტივების გაყიდვიდან(519,2 ათასი ლარი).

დასახელება	3 თვის გეგმა	3 თვის შესრულება	%

არაფინანსური აქტივები	**1000,0**	**679,1**	67,9
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	**500,0**	**519,2**	103,8
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	**500,0**	**159,9**	32

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 23528,1 ათას ლარს, აქედან I კვარტლის ხარჯებისა და შემოსავლების დაბალანსებისათვის გამოყენებულია 7567.4 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

2023 წლის 3 თვეში, ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 27600,2 ათასი ლარი.

23 წლის 3 თვის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2023 წელი			
	დაზუსტებული გეგმა	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო ხარჯი	%
გადასახდელები	125,728.7	27,926.0	27,600.2	98.8
ხარჯები	89,222.4	22,200.0	22,127.4	99.7
შრომის ანაზღაურება	39,798.5	9,020.0	9019.8	100.0
საქონელი და მომსახურება	21,104.0	5,580.0	5560.4	99.6
პროცენტი	2,551.6	1,370.0	1366.6	99.8
სუბსიდიები	8,420.5	2,030.0	2024.8	99.7
გრანტები	185.0	50.0	50.0	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	6,967.0	1,400.0	1369.2	97.8
სხვა ხარჯები	10,195.8	2750.0	2736.6	99.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	32,907.9	3,976.0	3725.6	93.7
ვალდებულებების კლება	3,598.4	1,750.0	1747.2	99.8

ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულება:

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2023 წელი		
		3 თვის გეგმა	3 თვის ფაქტი	%
20	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ხარჯები	27,926.0	27,600.2	98.8
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,600.0	6,558.9	99.4
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	2,825.0	2,791.9	98.8
01 01 01	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	480.0	473.8	98.7
01 01 02	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2,250.0	2,231.4	99.2
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	75.0	70.4	93.9
01 01 04	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	20.0	16.3	81.5
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	3,775.0	3,767.0	99.8
01 02 01	სარეზერვო ფონდი	350.0	349.5	99.9
01 02 03	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მ.გ.ფ.)	3,115.0	3,113.9	100.0
01 02 04	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	75.0	73.0	97.3
01 02 10	ა(ა)იპ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია	235.0	230.6	98.1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,425.0	6,361.9	99.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,950.0	1,941.6	99.6
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	1,260.0	1,259.2	99.9
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	510.0	506.3	99.3
02 01 03	სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	130.0	127.2	97.8
02 01 05	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შეძენა-ექსპლოატაცია	50.0	48.9	97.8
02 03	გარე განათება	880.0	877.3	99.7
02 03 01	გარეგანათების ქსელის ექსპლუატაცია	880.0	877.3	99.7
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	180.0	175.3	97.4
02 04 02	ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	115.0	114.6	99.7
02 04 03	ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	65.0	60.7	93.4
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	435.0	417.8	96.0

02 05 03	მრავალბინიანი საცოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა	5.0	4.7	94.0
02 05 04	მრავალბინიანი საცოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	20.0	16.1	80.5
02 05 05	მრავალბინიანი საცოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	15.0	10.4	69.3
02 05 07	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა- გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება	350.0	346.0	98.9
02 05 09	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)	45.0	40.6	90.2
02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	685.0	674.8	98.5
02 06 01	ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	320.0	317.2	99.1
02 06 02	ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	40.0	39.5	98.8
02 06 04	მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	175.0	173.9	99.4
02 06 05	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	20.0	19.0	95.0
02 06 07	შადრევან-აუზებბის ექსპლოატაცია- რეაბილიტაცია	130.0	125.2	96.3
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	650.0	649.0	99.8
02 09	სტიქიიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	1,550.0	1,534.3	99.0
02 10	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	25.0	23.1	92.4
02 11	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	70.0	68.7	98.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,515.0	1,486.2	98.1
03 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,200.0	1,171.4	97.6
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარება	315.0	314.8	99.9
03 02 01	ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები	315.0	314.8	99.9
04 00	განათლება	4,760.0	4,746.2	99.7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4,680.0	4,671.2	99.8
04 02	საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება	70.0	67.1	95.9

04 03	განათლების ღონისძიებები	10.0	7.9	79.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6,490.0	6,387.4	98.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,990.0	3,911.4	98.0
05 01 01	სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1,450.0	1,421.1	98.0
05 01 02	კალათბურთის განვითარება	425.0	425.0	100.0
05 01 03	ხელბურთის განვითარება	80.0	78.4	98.0
05 01 04	ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება	40.0	35.4	88.5
05 01 05	რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა	95.0	94.4	99.4
05 01 08	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	800.0	795.0	99.4
05 01 09	სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,100.0	1,062.1	96.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,470.0	2,447.7	99.1
05 02 01	კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1,550.0	1,540.8	99.4
05 02 02	ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	270.0	261.3	96.8
05 02 03	ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა	325.0	321.5	98.9
05 02 05	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	325.0	324.1	99.7
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.0	28.3	94.3
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,675.0	1,603.3	95.7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	435.0	411.1	94.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	85.0	83.5	98.2
06 01 02	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	40.0	30.5	76.3
06 01 03	სამედიცინო დახმარება	270.0	263.7	97.7
06 01 04	ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	10.0	7.3	73.0
06 01 05	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება	30.0	26.1	87.0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1,240.0	1,192.2	96.1
06 02 01	სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა	20.0	17.7	88.5
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	260.0	254.0	97.7
06 02 03	სარიტუალო დახმარება	2.0	1.5	75.0
06 02 04	სოციალური ღონისძიებები	250.0	248.0	99.2
06 02 05	სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	30.0	25.3	84.3
06 02 06	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	30.0	26.4	88.0
06 02 07	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	30.0	27.2	90.7

06 02 09	უფასო კვება	235.0	230.3	98.0
06 02 10	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	5.0	3.9	78.0
06 02 11	ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა	15.0	14.4	96.0
06 02 12	შინმოვლა	15.0	13.0	86.7
06 02 14	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	195.0	193.0	99.0
06 02 16	შშმ პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა	5.0	4.1	82.0
06 02 17	მარტოხელა მშობელთა დახმარება	5.0	4.9	98.0
06 02 18	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	1.0	0.4	40.0
06 02 19	საქართველოს "sos" ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა	10.0	6.3	63.0
06 02 21	ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარება	25.0	21.3	85.2
06 02 22	გადაუდებელი რეაგირების პროგრამა	30.0	27.5	91.7
06 02 30	სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება	12.0	11.6	96.7
06 02 33	ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება	65.0	61.4	94,5
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	461.0	456.3	99.0
07 01	თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა	16.0	15.3	95.6
07 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	445.0	441.0	99.1

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების 3 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 6558,9 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 6600,0 ათასი ლარი, დაფინანსება განხორციელდა 99,4%-ით.

სარეზერვო ფონდიდან, 3 თვეში მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის დახარჯულია 340,2 ათასი ლარი. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40გ -ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების ელ.ენერგიის დავალიანების თანადაფინანსებისათვის გადაირიცხა 4,4 ათასი ლარი; დედის დღესთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი (9 და მეტი შვილი) დედების მატერიალური დახმარების მიზნით გადაირიცხა 3,0 ათასი ლარი; ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2004 წლის აგვისტოს ქართულ - ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარების მიზნით გადაირიცხა 1,8 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების 3 თვის საკასო შესრულება შეადგენს 6361,9 ათას ლარს. გეგმა 3 თვეში განისაზღვრა 6425,0 ათასი ლარით (99%).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 1941,6 ათასი ლარით, გეგმა 1950,0 ათასი ლარი შესრულდა 99,6%-ით.

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულებულია: ქალაქის მასშტაბით საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება. არსებული შუქნიშნების ნაცვლად, ადაპტირებული შუქნიშნების მოწყობა. მიმდინარეობს: ჩეჩელაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ვაჟა-ფშაველას ქუჩის მეოთხე შესახვევის დარჩენილი ნაწილის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, შოთა რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის ე.წ. "კუნძლების" და "გამყოფი ზოლის" რეაბილიტაცია. ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ზ. გამსახურდიას გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ი.ჭავჭავაძის ტროტუარების რეაბილიტაცია და მოაჯირების მოსაწყობა, ავტომშენებლის გამზირზე ტროტუარების რეაბილიტაცია.

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულეების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია. დასრულებულია ტ.ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; თამარ მეფის ქუჩაზე, აკ. წერეთლის უნივერსიტეტის მიმდებარედ, სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; წერეთლის ქუჩის N246-ის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს: ლუკა ასათიანის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; აკ. წერეთლის ქუჩის პირველი ჩიხის მიმდებარე სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; ფურცელაძის ქუჩის მეორე შესახვევის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; დეპოს ქუჩის სანიაღვრე ქსელის ფრაგმენტის რეაბილიტაცია.

ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების შეძენა-ექსპლოატაცია მიმდინარეობს ვიდეო - სამეთვალყურეო სისტემების ექსპლოატაცია, 3 თვეში დახარჯულია 48,9 ათასი ლარი (97,8%).

გარე განათების პროგრამის საკასო შესრულებამ 877,3 ათასი ლარი შეადგინა.(99,7%)

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციისა და კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში ქვეპროგრამის ფარგლებში დამონტაჟდა და შეიცვალა 7ც ერთფაზიანი მრიცხველი, 4ც ავტომატური ამომრთველი 60ა, 36 ც ავტომატური ამომრთველი 100ა, 47ც კონტაქტორი, დაიხარჯა 1400მ ალუმინის სადენი 2x25, 600მ ალუმინის სადენი 2x2.5, დამონტაჟდა და შეიცვალა 18 ც ფასადის მინათების ლედ სანათი 150ვ, 80ც დროსელი 150 ვ, შეიცვალა 6ც მეტალო ჰალოგენი 150 ვ, შეიცვალა 217 ც ლედ სანათი 90 ვტ, 2 ც ფასადის მინათების ლედ სანათი 10ვტ, გამოიცვალა 24ც ლედ ნათურა 10ვტ, 24ც ლედ ნათურა 11ვტ, 58ც ლედ ნათურა 20ვტ, 14ც ფოტორელე 10, დენის გაყვანილობისთვის გაიხარჯა 900მ სპილენძის სადენი 2x2.5, 200მ სპილენძის სადენი 2x2.1, ა, 204ც საიზოლიო ლენტი, 600 მ გოფრირებული მილი, შეიცვალა 10ც იმპულსური გამშვები მექანიზმი, გამოიცვალა 46ც ლედ სანათი 120 ვტ, 18ც ლედ ნათურა ცივი ნათებით 40 ვტ, 35 ც ლედ ნათურა თბილი ნათებით, 10 ც

დრაივერი 20 ვტ, 228ც დრაივერი 50 ვტ. დემონტაჟი გაუკეთდა საახალწლო ნაძვის ხეს და დეკორაციულ განათებებს. ,გარე განათერბის ახალი წერტების მოწყობისთვის დაიხარჯა 48მ ლითონის მილი 127 მმ , 18 მ ლითონის მილი 89 მმ, 12მ ლითონის მილი 76მმ, 24მ ლითონის მილი 51მმ. საგზაო მონიშვნისთვის დაიხაზა „საფეხმავლო გადასასვლელი ე.წ. „ზებრა“, გზის გამყოფი ხაზი რისთვისაც დაიხარჯა 450 კგ თეთრი საღებავი, 15 კგ ვერცხლისფერი საღებავი, 75 კგ ყვითელი საღებავი, დამონტაჟდა 10 ც სექციური ვიდეო - კონტროლის ნიშანი.

მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია დაფინანსდა 175,3 ათასი ლარით, გეგმა - 180,0 ათ ლარი შესრულდა 97,4%-ით.

საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: რუას ქუჩის N16ა-სთან, ნეკრასოვის ქუჩის N6-თან, ქალაქ ქუთაისში, ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევში საყრდენი კედლისა და მოაჯირის მოწყობა, ჭაბუკიანის ქუჩის N3-ში ფერდის დამაგრების სამუშაოები; კიკვიძის ქუჩის N8- სთან საყრდენი კედლის მოწყობა; ისიანის ქუჩა N23 საყრდენი კედლის მოწყობა; აკ.წერეთლის ქუჩის მე-3 შესახვევის დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.

ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა რეკონსტრუქციის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ოთახების რემონტი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 417,8 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 435,0 ათასი ლარით(96,0%).

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ავტომშენებლის 1-შეს.N8-ში ფანჩატურის მოწყობა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა სარაჯიშვილის N51-ში (კულტურული მემკვიდრეობა) პარაპეტის რეაბილიტაცია.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა თაბუკაშვილის N199, თაბუკაშვილის N217 (მე-2 სად.), სულხან-საბას N75, ხარებავას N22 და ხარებავას N9ბ-ში კანალიზაციის რეაბილიტაცია

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება მიმდინარეობს 17350 კვ.მ ჰიდროსაიზოლაციო, 4000 კვ.მ გოფრირებული და 3000 კვ.მ ფურცლოვანი თუნუქის შესყიდვა. დასრულდა კ. მესხის N4, ცხინვალის მე-3 შეს. N3, კოსტავას N55, წერეთლის N276ა, ნიკეას N74, სულხან-საბას N65, მახვილაძის N15, ჭავჭავაძის N56, მახვილაძის N15, აღმაშენებლის N40/28 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) რეაბილიტაცია. მიმდინარეობს - ბუკიას N7ა, ზ. ჭავჭავაძის N2, ჯავახიშვილის 1-ლი შეს. N21, თაბუკაშვილის ქ. N119, ხუნდაძის N51ა-ს რეაბილიტაცია. დასრულდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) რეაბილიტაცია შემდეგ

მისამართებზე: ცახელის N7ა, ი. ჭავჭავაძის N64, მარჯანიშვილის N24, არაყიშვილის N3, ი. ბერაძის N3, დადიანის N55, სულხან-საბას N65. მიმდინარეობს - კ. გამსახურდიას N58 და აღმაშენებლის N112/1. დასრულდა ხარებავას N9, ავტომშენებლის N17, . ჭავჭავაძის N57-59, ბერაძის N7, ბერაძის N2, ბერაძის N4 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) რეაბილიტაცია. მიმდინარეობს - ლომონოსოვის ქ. N2/3, თამარ მეფის N95 და ი. ჭავჭავაძის N11-ის რეაბილიტაცია.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით) ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ბუხაიძის ქუჩის N3 ბინის მე-4 სადარბაზოს და მუსხელიშვილის ქუჩის N3 ბინის მე-4 სადარბაზოს რეაბილიტაცია. მიმდინარეობს დ. აღმაშენებლის N13 1-ლი, ი. ჭავჭავაძის N3 1-ლი, ჯავახიშვილის N2 1,2,3,4, ჯავახიშვილის N8 1-ლი, ჯავახიშვილის N10 მე-2,3, რუსთაველის N96 მე-3 და აღმაშენებლის N40 1,2 სადარბაზოების რეაბილიტაცია. დასრულდა ზ. გამსახურდიას ქუჩის N15-ში 1,2,3 სადარბაზოების რეაბილიტაცია.

ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამა დაფინანსდა 98,5%-ით, გეგმა შეადგენს 685,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 674,8 ათას ლარს.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელების ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა აღმაშენებლის N125-ში ფანჩატურის მოწყობა. მიმდინარეობს წმინდა ნინოს ქუჩა N1,3,5 ეზოს შესასვლელი ჭიშკრის დამზადება.

ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია მიმდინარეობს: ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა და ქალაქ ქუთაისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის(ოქროს ჩარდახი) რესტრავრაცია.

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: ახალგაზრდობის გამზირის ფასადების რეაბილიტაცია; ასათიანის ქუჩის N139 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია; დუმბაძის ქუჩის N2 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია; რუსთაველის გამზირისა და ტაბიძის ქუჩის ფასადების რეაბილიტაცია; ა. ხორავას ქუჩის N4 N6 N12-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ფასადის რეაბილიტაცია; ავტომშენებლის გამზირზე საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია.

სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფის ქვეპროგრამიდან დაიხარჯა 19,0 ათასი ლარი.

შადრევან-აუზების ექსპლოატაცია- რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 16 ერთეული შადრევან-აუზისა და წყლის ნიჟარების ექსპლოატაცია (წყლისა და ელექტრო ენერგიის ხარჯის ჩათვლით).

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფრაგლებში დასრულდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით. დაგეგმილი 650,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 649,0 ათასი ლარი.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: გაფრინდაშვილის ქუჩის N10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის N3-ს შორის საყრდენი კედლის მოწყობა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა დაფინანსდა 23,1 ათასი ლარით. გეგმა შეადგენს 25,0 ათას ლარს. დაფინანსება განხორციელდა 98,6%-ით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის დაიხარჯა 68,7 ათასი ლარი. გეგმა (70,0 ათასი ლარი) შესრულდა 98,1%-ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმა 1515,0 ათასი ლარი შესრულდა 1486,2 ათასი ლარით (98,1%).

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსდა 97,6%-ით, 1171,4 ათასი ლარით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფასხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 11781,70 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 213 064 200 მ2. ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული (ცხრა) ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები,რისთვისაც გაიხარჯა 17,326 ტონა ტექნიკური მარილი და 43,32 მ3 ქვიშა. დაიპრესა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 46 შეკვრა მუყაო და 1 შეკვრა დაწნეხილი პლასმასი, 2022 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 34 შეკვრა მუყაო და 21 შეკვრა პლასმასი. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურმა 2023 წლისათვის შეძლო ქალაქის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვითა და სხვლა-ფორმირების შედეგედ მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად 12 ტონა საკომპოსტე მასალა გადამუშავდა. გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 105 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 52 ძირი ხე. დაიმორა 161,5 მ3 საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 108 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 160 დაგეგმილი სამუშაო. უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოიყვანილ იქნა 352 ძაღლი, 3 ლეკვი და 21 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაშვილდა 32 ძაღლი, 7 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 21 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 17 ძაღლს. ოპერაცია ჩაუტარდა 289 ძაღლს, აიცრა 287 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 310 ძაღლი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 293 400 მ2 ტერიტორია. შეიწამლა 126 სველი წერტილი. გაიწმინდა - 10 248 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 568 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 7 350 მ2 ფართობი. შესრულდა - 140 სხვა დამატებითი სამუშაო. დამონტაჟდა - 12 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური.

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: "მუხნარის" ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობა; "შოთა რუსთაველის სკვერის, მდინარე ოღასკურას, ანჯაფარიძის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონის და ავტომშენებლის ქუჩაზე 32-ე საჯარო სკოლის წინ ლითონის შემოღობვის მოწყობა; დუმბაძისა და აღმაშენებლის გამზირის კვეთაზე ე.წ. ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია; ასევე მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა.

განათლების სფეროდან სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხარჯები დაფინანსდა 4671,2 ათასი ლარით, გეგმა შეადგენს 4680,0 ათას ლარს (99,8%). ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების' ასიგნების ფარგლებში განხორციელდა 75 შესყიდვა, 18 ელექტრონული ტენდერის მეშვეობით და 57 გამარტივებული წესით. ფილიალებისათვის შეძენილ იქნა საკვები პროდუქტები, სანტექნიკური გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი მასალები და ელექტრო სამონტაჟო მოწყობილობებისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების ნივთები, სამშენებლო მასალები. მეთოდური დარგის სამსახურის კოორდინატორის მიერ მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა მეთოდისტებთან, განხილული იქნა საკითხი ბაგა-ბაღებში საკონსულტაციო საბჭოების ეფექტური მუშაობის შესახებ. იანვრის თვეში განათლების ეროვნული სისტემის მიერ ჩატარდა ტრენინგი საკონსულტაციო საბჭოების თავმჯდომარეებთან , თემაზე: "ძალადობრივი და საზიანო შინაარსის კომპიუტერული თამაშები, საფრთხეების შემცველი მულტიდისციპლინარული ფილმები ბავშვებისათვის". 2023 წლის 2 თებერვალს შედგა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა მეთოდისტებთან, რომელიც ეხებოდა მონიტორინგის ინსტრუმენტების გზამკვლევს ბავშვებზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლებისათვის. აგრეთვე, მოეწოდათ ინფორმაცია-მითითება ბაღების ავტორიზაციის და პირველ ეტაპზე ბაღის მმართველების, მეთოდისტების, ბავშვის პორტფოლიოების, აღმზრდელის პორტფოლიოების წარმოებაზე, მონიტორინგისა და შეფასების, რეფლექსიის და დაკვირვების ჩანაწერებზე. თებერვლის თვეში ყველა ბაღში ჩატარდა აქტივობები "წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით". აქტივობებში ჩართული იყვნენ მშობლები. 2023 წლის 10 და 17 თებერვალს გაიმართა ტრენინგი მეთოდისტებთან (ორ ჯგუფად) თემაზე: "ბავშვთა ძალადობის ამოცნობა და პრევენცია, რეფერირების პროცედურები". 2023 წლის 27 თებერვალს შედგა ონლაინ შეხვედრა სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან კონკურსის "მწვანე ჯილდო" და 2023 წელში დაგეგმილ სხვა საგანმანათლებლო კონკურსების შესახებ. კონკურსში მონაწილეობას იღებს ორი ბაღი. 2023 წლის 1 მარტს განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან შედგა ონლაინ შეხვედრა კონფერენციაზე ავტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებით. მარტის თვეში გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამა "ჰარტის" დანერგვას ბაღებში. ტრენინგს გაივლის 150 (ას ორმოცდაათი) აღმზრდელი. მარტის თვეში აღმზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს UNICEF-ისა და აწსუ ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სატრენინგო ციკლში 60 საათი, თემაზე: "ადრეული

ინკლუზიური განათლება". ყველა ბაღში გრძელდება აქტივობები ბავშვთა უფლებების დაცვაზე. 2023 წლის 16 მარტს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ფსიქოლოგებთან. მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თვითმმართველ ქალაქებსა და სათემო მუნიციპალიტეტებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ელექტრონულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სან-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სამედიცინო სამსახურის ზედამხედველობის კოორდინატორისა და კვების უვნებლობის კოორდინატორის მიერ ბაგა-ბაღებში სისტემატიურად ხორციელდებოდა მონიტორინგი.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მეოთხე სამუსიკო სკოლის გათბობის მონტაჟი და შიდა რემონტი, აგრეთვე ცენტრალური სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია.

განათლების ღონისძიებები დაფინანსდა 7,9 ათასი ლარით. გაიცა მერის სტიპენდიები 6 სტუდენტზე. 2023 წლის მარტის თვეში ქვეპუნქტიდან „ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობის დაფინანსება" ისარგებლა ცამეტმა მოსწავლემ.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინანსდა 6387,4 ათასი ლარით. გეგმა (6490,0 ათასი ლარი) შესრულდა 98,4%-ით.

სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 3990,0 ათასი ლარი შესრულდა 98%-ით, გაწეული ხარჯი შეადგენს 3911,4 ათას ლარს. 3 თვის შედეგები: I ადგილი - 138; II ადგილი - 108; III ადგილი -109. სულ:355-მედალი. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1.2 იანვარი- ქუთაისის ყინულის მოედანზე საახალწლო ღონისძიება გაიმართა. წარმოდგენა ფიგურული სრიალისა და ყინულის ჰოკეის ჯგუფების აღსაზრდელებმა მოაწყვეს. 2. 6 თებერვალი- ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აკაკი ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-10 რესპუბლიკური ტურნირი 3.5-10 აპრილი- ტურნირი კრივში იმერეთის თასის მოსაპოვებლად.2009-2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის. 4.8 მარტი- ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკთა (2005-2007 წლებში დაბადებულთა) შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე სპორტსმენმა. 5.11 მარტი- ქალაქის ღია პირველობა ძალოსნობაში ჭაბუკთა შორის (2010წ და ზემოთ დაბადებულ სპორტსმენთა შორის) 6.21 მარტი- ქუთაისის აკაკი კაკაურიძის სახელობის N18 კრივის სკოლის დარბაზში საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრი კრივში 2007-2008 და 2009-2011 წლებში დაბადებულ მოკრივეებს შორის.

საკალათბურთო კლუბი ქუთაისი-2010" დაფინანსდა 425,0 ათასი ლარით (100%).

ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ში დასაქმებულია 20 თანამშრომელი, მათ შორის 3 ადმინისტრაცია, 4 მწვრთნელი და 13 სპორტსმენი, რომელთაგან 3 საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია. კლუბის გუნდი წარმატებით ასპარეზობს მიმდინარე საქართველოს 2022-2023 წწ ჩემპიონატზე.

რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩების ჩასატარებლად ერთ–ერთი მასპინძელია, შესაბამისად სტადიონზე მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დამთავრების ბოლო ვადაა მ/წლის 15 მაისი. აღნიშნულიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში, კალენდარული თამაში ან სხვა ღონისძიება სტადიონზე არ ჩატარებულა.

სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. სპორტსმენების საზეიმო მიღება2. რაგბის ხელშეწყობა

3. ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია

4. საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი დაჯილდოვება.

5. სპორტსმენების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა

6. ააიპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის მოღვაწის/მუშაკის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდოს გაცემა

7. სპორტის რაინდის სტიპენდია გადაერიცხა თეიმურაზ აფხაზვას.

8. წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია გაიცა 35 სპორტსმენზე.

9. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების დაფინანსება

10. ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება

11. გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიდან გაფინანსდა სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „ქუთაისი“.

12. დაფინანსდა ააიპ ქუთაისი ოლიმპიური კომიტეტი.

13. შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერა

სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ხარებავას ქუჩის N1-ის მიმდებარედ სპორტული მოედნისა და მცირე რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის მოწყობა; ლადო ასათიანის ქუჩის მე-5 ჩიხში მდებარე სტადიონის ("მარაკანა") რეაბილიტაცია.

კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 2470,0 ათასი ლარი შესრულდა 99,1%-ით, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 2447,7 ათას ლარს.

კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ქვეპროგრამა. 2023 წლის პირველი 3 თვე გაერთიანების ფილიალები აქტიურად მუშაობდნენ თავიანთ სამომავლო

გეგმებზე, წარმოადგინეს განვლილი წლის ანგარიში. ბოტანიკურმა ბაღმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკმა ტრადიციულად ჩაატარა საგაზაფხულო სამუშაოები. მიმდინარეობს მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის რეაბილიტაცია. გაერთიანების მხარდაჭერით ჩატარდა დავითობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ჩატარდა საგანმანათლებლო პროექტის „ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება მარადიულია“ პრეზენტაცია ხელოვანთა სახლის „ლუის პარნასის“ წარმომადგენლებთან ერთად. მ. ბალანჩივაძის სახ. №1 სამუსიკო სკოლაში არსებულ კლუბ მეტრონომის დაარსებიდან 10 წლის იუბილეს მიეძღვნა ღია გაკვეთილი. ზ. ჯავახაძის სახ. სპორტის მუზეუმში ქართველი ძიუდოისტის , ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა. დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაატარა მ. ბალანჩივაძის სახ ცენტრალურმა სასწავლებელმა და ამ ღონისძიების ფარგლებში ფოტო-გამოფენა სახელწოდებით “ქუთაისელი ქალბატონები“ მოაწყო ფოტო-კინო მატეანეს მუზეუმმა. ქართული კინემატოგრაფიის ფუძემდებლის ვასილ ამაშუკელის დაბადების დღესთან დაკავშირებით მწვანეყვავილას პანთეონში გაიმართა კინორეჟისორის ხსოვნისადმი მიძღვნილი პატივგება. ქუთაისის კერძო და საჯარო სკოლების VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის ა(ა)იპ გაერთიანება ატარებს კონკურსს „გააცანი შენი თავი საზოგადოებას.“ კონკურსი დაიწყო 2023 წლის 20 მარტს და დასრულდება 25 მაისს, შეჯამება-დაჯილდოება დაგეგმილია 2 ივნისს. მ. ბალანჩივაძის სახ.№1 სამუსიკო სკოლაში ჩატარდა საფორტეპიანო განყოფილების პედადგოგის მანანა მიზანდარის შემოქმედებითი საღამო. მახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მე-9 საერთაშორისო კონკურსზე „პატარა ვირტუოზები“ წარმატებები მოიპოვეს მ.ბალანჩივაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის, მ. ბალანჩივაძის სახ. №1 და ზ. ანჯაფარიძის სახ. №3 სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა. ზ.ფალიაშვილის სახ. №2 სამუსიკო სკოლაში მასტერკლასი ჩაატარა ამერიკაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა საოპერო მომღერალმა დავით ღვინიანიძემ. ა(ა)იპ „ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალში-ქუთაისის ბოტანიკური ბაღში,კომპანია ZMG ART-ის მიერ წარმოდგენილი იყო მედია-არტ პროექტი „Stop Violence”-შეაჩერე ძალადობა. პროექტში ჩართული იყო ა(ა)იპ გაერთიანება. 2023 წლის 25 მარტს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ჩატარდა ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილი სიტუაციური წერის კონკურსი: „ნორჩი ჟურნალისტი“. კონკურსში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. მუზეუმებსა და გალერეაში ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა. ასევე გაერთიანებასა და ფილიალებში ჩატარდა სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობების სარემოტო სამუშაოები.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა 2023 წლის 01 იანვრისათვის შეადგენდა - 1 064 702 წიგნს, ჟურნალ-გაზეთს,

ელექტრონულ წიგნს და CD - ხმოვან წიგნს; 2023 წლის I კვარტალში შემოვიდა 29 ცალი წიგნი და ჟურნალი. მათ შორის: საჩუქრის სახით შემოსული - 14 ცალი წიგნი; ბიუჯეტის თანხით შეძენილი - 15 ცალი ჟურნალი. 2023 წლის I კვარტალში ფონდის რაოდენობა შეადგენს 1 064 731 წიგნს, ჟურნალ გაზეთს, ელექტრონულ და CD - ხმოვან წიგნს. მკითხველთა რაოდენობა - 2133; დამსწრე (მომსვლელთა) რაოდენობა - 10901; საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემის რაოდენობა - 17 231; მ.შ. 15 604 ცალი წიგნი და 1627 ჟ/გაზეთის კომპლექტი. 2023 წლის I კვარტალში ელექტრონულ კატალოგში ატვირთულია 7 470 ეგზემპლარი. P. S. დაწყებიდან, 2013 წლის იანვრიდან 2023 წლის 01 აპრილამდე ელექტრონულ კატალოგში ატვირთულია 322 746 ცალი ეგზემპლარი. http://opacqutaisi.gela.org.ge/ 2023 წლის 3 თვეში ციფრულ ფოტომატიანეში აიტვირთა 474 ცალი ფოტო, ბარათი, მოსაწვევი, პოსტერი და ა.შ. P. S. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 2015 წლის ივლისიდან ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჯეოსელის ერთობლივ პროექტში „ციფრული ფოტომატიანე“. პროექტის მიზანია, გააცოცხლოს იმერეთის რეგიონისა და ჩვენი ქალაქის ისტორია, აღმოაჩინოს და შეაგროვოს სხვადასხვა ოჯახში დაცული, საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ფოტოკოლექციების ციფრული ვერსიები. დაწყებიდან, 2023 წლის 01 აპრილისთვის გაციფრებულია 8091 ცალი ფოტო, ბარათი, მოსაწვევი, პოსტერი და ა.შ. და ატვირთულია ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3943. 2023 წლის I კვარტალში გაციფრდა იშვიათ გამოცემათა განყოფილების 34 ცალი წიგნის 9663 გვერდი. მზა წიგნები განთავსდა 7 DVD დისკებზე. P. S. დაწყებიდან, 2016 წლის მაისიდან 2023 წლის 01 აპრილისათვის გაციფრებულია 788 ცალი წიგნის 144 442 გვერდი და 213 ცალი გაზეთის 1 091 გვერდი. ჯამში 145 533 გვერდი. რესტავრაცია ჩაუტარდა, აიკინძა და ყდაში ჩაისვა: 52 ცალი - წიგნი; 192 ცალი - გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“.

ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ 3 თვეში ათვისებული თანხა შეადგენს 321,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 4 იანვარი - დავით აღმაშენებლის ცენტრალური მოედანი. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი. 8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ძეგლის პატივგება სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი. 8 მარტი- თბილისი. ფოლკლორული ფესტივალი. ფოლკლორის ცენტრის ბავშვთ ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“. 16 მარტი - თბილისი. ტელეკომპანია „იმედი“ „ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად „ ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა. 19 მარტი - ქუთაისის ოპერის თეატრი. მე-15 რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „იპოვე შენი ვარსკვლავი“. ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „იმედი“.

კულტურის ღონისძიებების ქვეპროგრამა დაფინანსდა 324,1 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. მ/წლის 8 თებერვალს დავითობის დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქის თვითმმართველობის პირველმა პირებმა პატივი მიაგეს და თაიგულით შეამკეს დავით აღმაშენებლის ძეგლი.

2. 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სპექტაკლი „ბეატრიჩე“, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით.

3. 7-დან 14 მარტის ჩათვლით, გალერეა ,,ვარლაში“ გაიმართა საგაზაფხულო გამოფენა ,,იმერეთი - სხვა სილამაზე“.

4. ქვეპუნქტიდან ,,ქუთაისში გამომავალი ბეჭდური გამოცემების დაფინანსება (უქიმერიონი, მწვანეყვავილა, განთიადი)“ დაფინანსდა და გამოიცა ჟურნალ ,,უქიმერიონის“ N1 ნომერი, ჟურნალ ,,მწვანეყვავილას“ N1 და ჟურნალ ,,განთიადის“ N1-2 ნომრები.

5. ქვეპუნქტიდან ,,საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებული მოსწავლეების და მათი პედაგოგების დაჯილდოება“ 500 ლარით დაჯილდოვდა მარინე იაშვილის მეორე საერთაშორისო კონკურსში პირველი კატეგორიის მესამე ადგილის დაკავებისათვის მოსწავლე ბარბარე ვარდანიძე, ასევე პედაგოგი ზანდა კიკვაძე დაჯილდოვდა 500 ლარით.

6. გაიცა სტიპენდიები ქვეპუნქტიდან ,,საქართველოს დამსახურებული არტისტების და ქურუმის სტიპენდია“

7. განხორციელდა სატელევიზიო პროექტი ,,ვარლა“. ადგილობრივი ტელერადიოკომპანია ,,რიონის“ ეთერში გაზაფხულზე გადაიცემა 4 გადაცემა ღვაწლმოსილ ქუთაისელ მხატვარზე.

8. ფ/პ ნათელა ჯიმშელეიშვილს გაეწია ფინანსური დახმარება, ქალაქ სტამბოლში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში ფოტოპროექტის ,,ბოდიფონტი“ წარდგენისათვის.

9. ფ/პ ზაზა კილასონიას გაეწია ფინანსური დახმარება საავტორო კონცერტის მუსიკალური არანჟირებისათვის.

10 ფ/პ მიხეილ თურქაძეს გაეწია ფინანსური დახმარება ესტონეთში ორკაპი გალერიის მიერ ორგანიზებული საზაფხულო რეზიდენციის პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით.

11. რობერტ გოგოლაშვილი დაფინასდა სანოტო კრებულის გამოცემისათვის.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის 3 თვეში ბიუჯეტიდან დახარჯულია 28,3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა გაუთვალისწინებელი ღონისძიებები და ლიდერთა სკოლა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯებმა 3 თვეში შეადგინა 1603,3 ათასი ლარი. გეგმა 1675,0 ათასი ლარი, შესრულდა 95,7%-ით.

ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები შეადგენს 411,1 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 435,0 ათასი ლარით, დაფინანსება განხორციელდა 94,5%-ით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ქვეპროგრამა დაფინანსდა 83,5 ათასი ლარით (98,2%). საანგარიშო პერიოდში შერჩევითი კონტროლის მეთოდით, შემოწმებულია 65 სილამაზის სალონი. კერძოდ ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას-არსებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად - შემოწმდა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვა. უმეტეს ობიექტებში, შეიძლება ითქვას დამაკმაყოფილებელია მდგომარეობა. კერძოდ სალონები სანიტარულ-ტექნიკური თვალსაზრისით აკმაყოფილებენ გათვალისწინებული მოთხოვნებს. უზრუნველყოფილი არიან გამდინარე ცივი და ცხელი წყლით, მრავალჯერადი გამოყენების იარაღებისა და ინსტრუმენტებისათვის აქვთ სტერილიზატორები, შეძენილი აქვთ სარეცხი და სადიზენფექციო საშუალებები. რაც შეეხება მათ რეგისტრაციას -როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულება-რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ვადაგადაცილებას (განვმარტავ რომ ასეთი ტიპის ობიექტებს ყოველწლიურად ესაჭიროებათ რეგისტრაციის განახლება-საჯარო რეესტრში) გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როცა ახლად გახსნილ სალონს საერთოდ არ ჰქონდა რეგისტრაცია გავლილი (8 შემთხვევაში). ასევე ობიექტების უმეტესობაში - არა აქვთ იარაღებისა და ინსტრუმენტების დეზინფექცია-სტერილიზაციის ინსტრუქცია ნაბეჭდი ფორმით, არა აქვთ სტერილიზაციის აღრიცხვის ჟურნალი, იქ სადაც აქვთ არასწორადაა ნაწარმოები. არ არის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებული, სახიფათო ნაჩენები (ბასრი საგნები და სხვა სახის ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებაში არსებული ნარჩენები) გროვდება განცალკავებით, მაგრამ მათი გატანა და გაუვნებლება არ ხდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად- იყრება საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. ჩვენ მიერ მომზადდა და დაიბეჭდა სალონებისათვის სამახსოვროები-ინფექციური დაავადებების (მ.შ. B და C ვირუსულ ჰეპატიტები, აივ. ინფექცია/შიდსი) გავრცელების პრევენციისა და აღსაკვეთად და ეძლევათ სალონების ხელმძღვანელებს-სამოქმედოდ და თვალსაჩინო ადგილას განსათავსებლად, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე მომხმარელებისათვის. 2018 წლიდან ჩვენს ცენტრსა და ,,თამბაქს კონტროლის ჩარჩო -კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორიგის ცენტრს'' შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ვაწარმოვებთ მონიტორინგს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით სასწავლო, სამედიცინო ,საჯარო დაწესებულებეში, ასევე სილამაზის სალონებში, კაფე-ბარებსა და რესტორნებში და ტრანსპორტში.თამბაქოს რეკლამის მონიტორინგი გარე სივრცეებში 2023 წლის პირველ კვარტალშ შემოწმებული იქნა 9 სამედიცინო დაწესებულება, 2საჯარო დაწესებულება,37 მარკეტი. 9 სასტუმრო.18 კაფე-ბარი, 28 სატრანსპორტო საშუალება, 10 სილამაზის სალონი, 4 სასწავლო დაწესებულება.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები; მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეები და ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები;დახმარებით ისარგებლა **361** ბენეფიციარმა.

სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა ქვეპროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკის და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურებას. დახმარებით ისარგებლა 889 ბენეფიციარმა.

ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარებით ისარგებლა **41** ბენეფიციარმა.

ფენილკეტონურიით დაავადებულპირთადახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარებას, თვეში 300 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში, დახმარებით ისარგებლა 32ბენეფიციარმა,

სოციალური პროგრამები დაფინანსდა 1192,2 ათასი ლარით, გეგმა (1240,0 ათასი ლარი) შესრულდა 96,1%-ით.

სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი. საანგარიშო პერიოდში, სოციალურ საცხოვრისში ცხოვრობს 95 ოჯახი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა მრავალშვილიანმა 637 ოჯახმა. მათ შორის: მეოთხე და მომდევნო ბავშვის შეძენაზე დახმარებით ისარგებლა 10 ოჯახმა. ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 187 მრავალშვილიანმა ოჯახმა. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელ/ენერგიის თანადაფინანსებით მიმდინარე პერიოდში ისარგებლა 151 ოჯახმა.

სარიტუალო დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად

300 (სამასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქ. ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19“ დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა.

სოციალური ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას. დახმარებით ისარგებლა 4047 ბენეფიციარმა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგის ღირებულების თანადაფინანსება, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. დახმარებით ისარგებლა 2463 ოჯახმა, რომელიც შეადგენს 6928 ბენეფიციარს.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარს, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში და სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს, თვეში 200 ლარს. ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში გაიცემა 200 ლარის ოდენობით. ჰემოდიალიზზე მყოფ პირს, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს. დახმარებით ისარგებლა 118 ბენეფიციარმა, მათ შორის 101 ჰემოდიალიზზე მყოფი პირი და 17 რეინტეგრირებული ბავშვი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების დახმარებით სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით - „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება თვეში 60 ლარის ღირებულების, ჰიგიენური საფენების („პამპერსი“) და სველი სალფეთქების შეძენა.დახმარებით ისარგებლა 180 ბენეფიციარმა.

უფასო კვების ქვეპროგრამის ფარგლებში Aა(ა)იპ ,,ქ. ქუთაისის მადლიერების სახლში” ფუნქციონირებს უფასო სასადილო, სადაც იკვებება 750 ბენეფიციარი. აქედან 550 ბენეფიციარი სადილობს დუმბაძის 59/61-ში არსებულ სასადილოში, ხოლი 200 ბენეფიციარი ა/მშენებლის ქ. 38-ში მდებარე სასადილოში. მადლიერების სახლში ფუნქციონირებს ბინაზე მიტანის სერვისი, რომელიც ემსახურება გადადგილება შეზღუდულ ბენეფიციარებს.

კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებს, აბსოლიტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქ. ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, ბენეფიციარს გაეწია დახმარება.ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება – თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა.

„ავთვისებიანი სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა“ ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ პირებს, გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 200 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლა 24 ბენეფიციარმა.

შინ მოვლის ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები /შემდგომში - მოსარგებლე/, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის“ მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/ და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. დახმარებით ისარგებლა 127 ბენეფიციარმა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/ მცხოვრებ 2-17 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9). ქვეპროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება. დახმარებით ისარგებლა 311 ბენეფიციარმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 7 ორგანიზაციისათვის, თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება. დახმარებით ისარგებლა 7 ორგანიზაციამ.

მარტოხელა მშობელთა დახმარების ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელქტროენერგიის, წყალის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინასება 30 ლარის ოდენობით. ელექტროენერგია -12 ლარი; ბუნებრივი აირი -15 ლარი; წყალი -3 ლარი. დახმარებით ისარგებლა **100** ბენეფიციარმა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსურ დახმარება. დახმარებით ისარგებლა **1** ბენეფიციარმა.

საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების ქვეპროგრამით ისარგებლა **20** ბენეფიციარმა.

,,ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების დახმარება“ ქვეპროგრამით სარგებლობენ ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები. დახმარებით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების სერვისი მიეწოდებათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ფაქტიურად მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთა წევრები საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას. დახმარებით ისარგებლა 50 ბენეფიციარმა მათ შორის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაეწია მატერიალური დახმარება 28 ბენეფიციარს, ხოლო 22 ბენეფიციარს კი გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ. ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს.აბიტუტიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები. დახმარებით ისარგებლა 33 ბენეფიციარმა.

,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება. ქვეპროგრამის მიზანია, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 99%-ით (გეგმა 461,0 ათასი ლარი; საკასო ხარჯი 456,3 ათასი ლარი).

ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამიდან“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარების, საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრის და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებისათვის გახარჯული იქნა 15,3 ათასი ლარი, კერძოდ: სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“ – 3.0 ათასი ლარი, შპს ,,კომპაუდი“ – 5,6 ათასი ლარი და ინდ. მეწარმე დავით გოგსაძე - 5,9 ათასი ლარი.

ა ა იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. საშობაო ღონისძიება დმო იმერეთის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას ქუთაისში ქრისტეშობის ღამეს ქალაქის ცენტრალურ უბანში არსებული კაფე რესტორნები ალილოს ყველა წესის დაცვით გულითადი მასპინძლობისა და სიმბოლური საშობაო ბაზრობის სინთეზით უმასპინძლეს ადგილობრივებს და ჩამოსულ სტუმრებს დმო იმერეთის ორგანიზებით ქუთაისში ცენტრალურ მოედანზე ღია ცის ქვეშ გაიმართა ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი 2. ონლაინ პლატფორმები დმო იმერეთი მართავს ონლაინ პლატფორმებს ფეისბუკი გვერდი ქუთაისი ინსტაგრამი საიტი აპლიკაცია ყოველდღიურ რეჟიმში იტვირთება ონლაინ პლატფორმების შესაბამისი მასალები ფოტოები ინფორმაციები ვიდეო რგოლები 3. სიყვარულის დღე სიყვარულის დღესთან დაკავშირებით იმერეთის ორგანიზებით ბალახვანში ას საფეხურიანი კიბის ტერიტორიაზე მოეწყო საინტერესო და მასშტაბური ფოტო ზონა აიარეთ სიყვარულის ასი საფეხური“ სადაც შეყვარებულ წყვილებს ქალაქის სტუმრებს ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდათ გადაეღოთ სამახსოვრო ფოტოები სიყვარულის დღის განწყობის შექმნაზე ასევე იზრუნეს პანტომიმის თეატრის მსახიობებმა 4. ინფო ტურები ბრიტანელი ჟურნალისტი სარა ფრიმენი სტატიის მომზადების მიზნით ორი დღის განმავლობაში სტუმრობდა ქუთაისსა და იმერეთს სტატია ის ბორტის ჟურნალის უახლოესი თვეების ნომერში დაიბეჭდება 5. ტრენინგები სასწავლო კურსი იმერეთის ორგანიზებით ჩატარდება ღვინის ტურიზმის პრაქტიკული კურსი გიდებისათვის ტრენინგებზე რომლებსაც უძღვება ღვინის ტურიზმის ლექტორი და გიდი ალექსანდრე პაიკიძე განიხილეს ვაზისა და ღვინის ტურიზმის საფუძვლები და ისტორია ენდემური ჯიშები ღვინის სერვირება მარნის ტიპები დაგეგმვა და ბრენდირება დეგუსტაციის წარმართვა ტურისტებისთვის საქართველოს საღვინე რეგიონებად დაყოფა და ღვინის ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები 6. ბერლინი დმო იმერეთმა მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს უდიდეს საერთაშორისო გამოფენაში – საქართველო ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგა

დმო იმერეთმა მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში ის ონლაინ საიტზე და ბეჭდურ პლატფორმაზე სტატია განთავსდა ქუთაისის და იმერეთის შესახებ ასევე დაიბეჭდა ბანერი 7. საერთაშორისო ტურისტული გამოფენები დმო იმერეთმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მადრიდი ესპანეთი ჰელსინკი ფინეთი რიგა ლატვია მილანი იტალია თელავივი ისრაელი ბერლინი გერმანია ასევე დმო იმერეთის მხარდაჭერით იმერული ღვინო წარდგენილ იქნა ნიუ იორკში ღვინის უდიდესი საერთაშორისო გამოფენაზე